

ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები საქართველოსთვის

UNECE/FAO, UNDA დამხმარე ეროვნული სამუშაო შეხვედრა/სემინარი
ოთხშაბათი, 29 ნოემბერი - 1 დეკემბერი, 2017 წ.

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №1

ინფორმაცია პროექტის შესახებ

აღნიშნული სემინარი წარმოდგენილია გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDA) პროექტის ფარგლებში, რომელიც შემუშავებულია კავკასიისა ცენტრალური აზიის ქვეყნების (საქართველო, სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და უზბეკეთი) ხელშესაწყობად, ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავების მიზნით. (*Criteria and Indicators for Sustainable Forest Management - C&I for SFM*).

პროექტი ეფუძნება არსებულ პროცესებსა და გამოცდილებას მონაწილე ქვეყნებში, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის კონკრეტულ საჭიროებებსა და პრიორიტეტებს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგებია:

- ა) გაძლიერებული შესაძლებლობები ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების (C & I) პროცესებისა და შედეგების მიმართ
- ბ) განვითარებული ან გაძლიერებული ეროვნული პროცესები C&I-ის შემუშავების პროცესში და როგორც შედეგი,
- გ) შემუშავებული ან გაუმჯობესებული ეროვნული კრიტერიუმები და ინდიკატორები ტყის მდგრადი მართვისთვის

პროექტის ხანგრძლივობაა 2016 წლის ივნისიდან 2019 წლის დეკემბრამდე.

დამხმარე ეროვნული სამუშაო შეხვედრის მიმოხილვა

საქართველოს ტყე არის ქვეყნისთვის განსაკუთრებული ფასეულობის მქონე ბუნებრივი რესურსი, რომელიც საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40%-ს მოიცავს. მას უდიდესი ეროვნული, რეგიონალური და გლობალური მნიშვნელობა აქვს. ტყე არა მხოლოდ უნიკალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას განაპირობებს, არამედ უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებლისა და რესურსების უწყვეტ მიწოდებასაც, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირებას, ადამიანების კეთილდღეობას, სიღარიბის აღმოფხვრას და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

სატყეო სექტორში არსებული პრობლემები, რომლებიც პირდაპირ აისახება ტყის მდგომარეობაზე, გამოწვეულია მრავალი ფაქტორით. მათ შორის უმთავრესია წინა წლებში გამოყენებული მართვის პრაქტიკა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს, სოციალური ფონი და პოლიტიკური ნების არარსებობა.

სატყეო სექტორსა და ეკონომიკის სხვა დარგებში სტრატეგიული ქმედებები ეროვნული სატყეო კონცეფციის ფარგლებში მოყვანილი ძირითადი პრობლემებისა და ტყეზე

უარყოფითი ზემოქმედების პოტენციური საფრთხეების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

ეროვნული სატყეო კონცეფცია დამტკიცდა 2013 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ. კონცეფცია განსაზღვრავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას საქართველოს ტყეების მიმართ – მათი ძირითადი ფუნქციური დანიშნულებისა და ფასეულობების გათვალისწინებით. კონცეფცია ერთიანია საქართველოს ყველა ტყისთვის, მიუხედავად მათი საკუთრების, მფლობელობის და მართვის ფორმებისა. იგი საფუძვლად ედება სატყეო სექტორის კანონმდებლობის, ინსტიტუციური მოწყობისა და სხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების შემუშავებასა და დახვეწას.

ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების (C&I for SFM) საჭიროება და პოტენციური აღიარებულია როგორც ტყის მართვის ეროვნული მიზნების პროგრესის საზომ ერთეულად, ასევე, კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება განიხილება როგორც დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის მონაწილეობა სატყეო სექტორის რეფორმის პროცესში, იმისათვის, რომ, უზრუნველყოფილი იყოს ინტერესთა სპექტრის ასახვა და უფრო ინკლუზიური სატყეო სექტორთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება.

საქართველოში კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავების პროცესი ტყის მდგრადი მართვისთვის უკვე დაწყებულია და აღნიშნული პროექტი (UNECE/FAO/UNDA) მიზნად ისახავს საქართველოს ხელშეწყობას პროცესების გაძლიერების გზით, დაეხმაროს ყოვლისმომცველი, ეფექტიანი და ნაყოფიერი ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებაში.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის მხარდაჭერით, საქართველოში 2017 წლის მანძილზე ორგანიზებული სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, განხორციელდა ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური პრინციპების დამატებით განსაზღვრა კრიტერიუმებისა და ინდიკატორების მეშვეობით. აღნიშნული დოკუმენტის სამუშაო ვერსია ხელმისაწვდომია სამინისტროში. ამასთან ერთად, რამოდენიმე სამუშაო შეხვედრისა და სავლეთ ვიზიტის შედეგად, შემუშავდა მართვის დონის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ნუსხა, როგორც ეკოსისტემაზე დაფუძნებული ტყის მართვის განხორციელებისა და მონიტორინგის საფუძველი.

აღნიშნულ სამუშაო შეხვედრას აქვს შემდეგი ამოცანები:

- ა) **გადახედვა.** გადახედვა პროგრესის, გამოწვევების და ნასწავლი გაკვეთილების, რომელიც უკავშირდება ტყისა და ტყის მართვის სტატუსს, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო ანგარიშგებას (reporting) საქართველოში.
- ბ) **რა და რატომ.** უზრუნველყოფილი იყოს სიცხადე, თუ რას ნიშნავს ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებთან და ინდიკატორებთან დაკავშირებული პრინციპები, დანიშნულება, პროცესები და განმარტებები.
- გ) **როგორ.** საუკეთესო საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილებების გათვალისწინებით, გავაძლიეროთ ცოდნა, თუ რა პრაქტიკით შევიშუშაოთ ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ნუსხა.
- დ) **დაგეგმვა.** ხელი შევუწყოთ საწყისი კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ნუსხის განვითარებას, მათ შორის შემდგომი წინსვლის, ტესტირებისა და ფორმულირების პროცესის სამოქმედო გეგმის ჩათვლით.

სემინარი ასევე შეეხება შემდეგ კითხვებს:

- ა) არის თუ არა სრულყოფილი არსებული ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ნუსხა ტყეების მდგრადი მართვისთვის საქართველოში?
- ბ) არის თუ არა შემოთავაზებული/არსებული C&I-ის ნუსხა ნათელი და დამახასიათებელი?
- გ) რა შეიძლება იყოს შემოთავაზებული ინდიკატორების მონიტორინგისთვის ინფორმაციის წყარო?
- დ) 3 დღიანი სემინარის შედეგების საფუძველზე ეროვნული C & I-ის ნუსხის შემდგომი განვითარებისთვის საჭირო სამომავლო ნაბიჯების განსაზღვრა

მონაწილეთა შერჩევა

სემინარზე მოწვეულია 35 მონაწილე. ისინი ასახავენ სატყეო პოლიტიკისა და მართვის, სატყეო ინფორმაციის, ეკონომიკის, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებულ ექსპერტიზასა და გამოცდილებას, ასევე სექტორულ ინტერესებს, რომლებიც გამოიხატება ტყეებზე ან ტყეებით ზეგავლენით. ისინი წარმოადგენენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიის, კერძო სექტორის, ცენტრალური და ადგილობრივი დონის, ახალგაზრდა და ხანდაზმული, მამრობითი და მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს.

მონაწილეების შერჩევა მოხდა შემდეგი პირობით:

მივესალმებით, თუ ყველა მოწვეული მონაწილე მონაწილეობას მიიღებს და **სრულად დაესწრება** დამხმარე ეროვნულ სემინარს **ოთხშაბათიდან (29 ნოემბერი - 1 დეკემბერი, 09:00 – 17:30) პარასკევის ჩათვლით** და მზად არიან ხელი შეუწყონ ეროვნული ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საბოლოო ნუსხის შემუშავებას მომდევნო თვეების განმავლობაში. პარასკევს, **მონაწილეებს ასევე გადაეცემათ სერთიფიკატები** სემინარის დასრულების შემდეგ.

სამუშაო შეხვედრები/სემინარი ჩატარდება ქართულად და ინგლისურად (სინქრონული თარგმანი). მასალები (დოკუმენტაცია) წარმოდგენილი იქნება ძირითადად ინგლისურ და ნაწილობრივ ქართულ და რუსულ ენებზე.

სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეობის წინაპირობას ასევე წარმოადგენს მონაწილეების მხრიდან საჭიროების ანალიზის ფორმის შევსება წინასწარ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც დაეხმარება სამინისტროსა და პროექტის მენეჯერებს აქტივობების დასაგეგმად მომდევნო თვეების განმავლობაში.

სამუშაო შეხვედრის მიდგომა

სამუშაო შეხვედრების მიდგომა იქნება არაფორმალური და ინტერაქტიული, ამიტომ რეკომენდირებულია ჩვეულებრივი ჩაცმულობა. ნაცვლად სწავლების ტრენინგისა, აღნიშნული სემინარი წარმოადგენს ფასილიტატორის დახმარებით შემდგარ სამუშაო შეხვედრას, რომლის დროსაც ყველა მონაწილეს ექნება საშუალება შეიტანოს საკუთარი წვლილი.

პროგრამა

ოთხშაბათი, 29 ნოემბერი - პარასკევი, 1 დეკემბერი, 2017, თბილისი

	ოთხშაბათი, 29 ნოემბერი	ხუთშაბათი, 30 ნოემბერი	პარასკევი, 1 დეკემბერი
M O R N I N G S E S S I O N	<p>8.30 - რეგისტრაცია 9.00. - დაწყება (ზუსტად 9-ზე)</p> <p>I. პრესტორია, ამოცანები, C&I-ის ბაზისი და შექმნის სცენარი 9.00 – 9.45</p> <p>1.1 მისალმება და შეხვედრის გახსნა მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელისა და UNECE/FAO - ტერეზა ლოეფლერ - პროექტის მიმობილვა.</p> <p>9.45-10.30.</p> <p>1.2 მონაწილეთა გაცნობა, სემინარის ამოცანები, თავმოყრილი საწიროებათა შეფასება და ნორმები. ტრენინგის ინსტრუქციის გაცნობა. პრეზენტაცია - ვარდან მელიკიანი (ფასილიტატორი).</p>	<p>9.00. - დაწყება (ზუსტად 9-ზე) 9.00 - 9.15</p> <p>პირველი დღის შეჯამება - მონაწილეთა პრეზენტაცია.</p> <p>II. C&I-ისთვის პრაქტიკული ცოდნის გაღრმავება 9.15-10.30</p> <p>2.1 საქართველო და “FOREST EUROPE”. პრეზენტაცია, კითხვა/პასუხი - სტეფანი ლინსერი (ავსტრია)</p> <p>2.2 C&I-ის შემუშავების პრინციპებისა და პრაქტიკის გაცნობა. პრეზენტაცია, კითხვა/პასუხი</p> <p>2.3 “Bottom up” როლური მიდგომის მონაწილეობრივი პროცესი პრიორიტეტული ინდიკატორების შემუშავებისთვის. პრეზენტაცია & სავარჯიშო</p>	<p>9.00. - დაწყება (ზუსტად 9-ზე) 9.00 - 9.15</p> <p>მეორე დღის შეჯამება - მონაწილეთა პრეზენტაცია.</p> <p>III. ეროვნული C&I-ის შემუშავება / განვითარება 9.15-10.30</p> <p>3.1 “Bottom up / Top down”-ის შედეგების ასახვა - რეკომენდაციები საქართველოში C&I-ის შემუშავების პროცესისთვის. პრეზენტაცია & სავარჯიშო.</p> <p>3.2 ჯგუფური სამუშაო, როგორც წინასწარი ეროვნული (C&I) ნუსხის, ასევე, შემდგომი განვითარების, ტესტირებისა და შერჩევისთვის საქართველოში. პრეზენტაცია & სავარჯიშო.</p>
	შესვენება 10.30-11.00	შესვენება 10.30 -11.00	შესვენება 10.30 – 11.00
	<p>11.00-11.30</p> <p>1.3 პრესტორიის მიმობილვა, განმარტებები, მიხნები, პროცესები, სარგებელი და გამოწვევები C&I for SFM-თან დაკავშირებით. პრეზენტაცია, კითხვა/პასუხი.</p> <p>11.30-12.00.</p> <p>1.4 საქართველოს ტყეებისა და ტყის სექტორის მიმობილვა, ტყის საინფორმაციო სისტემები, ხელმისაწვდომი და პრობლემური მონაცემები, ჩართულობა “Forest Europe”-ის პროცესში. პრეზენტაცია, კითხვა/პასუხი - კობა ჩიბურდანიძე</p>	<p>11.00-12.30</p> <p>2.3 სესიის გაგრძელება. აქცენტი - კარგი კრიტერიუმებისა და ინდიკატორების განმარტება.</p>	<p>11.00 – 12.30</p> <p>3.2 სესიის გაგრძელება</p>
	სადილი 12.30 to 13.30	სადილი 12.30 – 13.30	სადილი 12.30-13.30
A F T E R N O O N	<p>13.30 – 15.00</p> <p>1.5 საქართველოს კრიტერიუმებისა და ინდიკატორების (C&I) ნუსხა ტყის მდგრადი მართვისთვის. პრეზენტაცია, კითხვა/პასუხი - ლიკა გიორგაძე</p> <p>1.6. C&I-ის განვითარების მაგალითი (Case study) თურქეთში. პრეზენტაცია, კითხვა/პასუხი - თამერ ოტრაქციერ.</p>	<p>13.30 – 15.00</p> <p>2.4 საერთაშორისო C&I ნუსხის მიმობილვა, რომ გავიგოთ რომელი შეეფერება ეროვნულ პრიორიტეტებს - “top down process”, სავარჯიშო.</p>	<p>13.30 - 15.00</p> <p>3.3 სავარაუდო C&I-ის ჩარჩოს პრეზენტაცია და პროცესის გეგმები კრიტერიუმებთან მიმართებაში, როგორცაა შესაბამისობა, მიზანშეწონილობა და ა.შ. <i>პრეზენტაცია და სწორად გამოკვლევის სავარჯიშო.</i></p>
	შესვენება 15.00- 15.30	შესვენება 15.00-15.30	შესვენება 15.00-15.30
	<p>15.30</p> <p>1.7 ქართული C&I-ის ნუსხის გაცნობა/განხილვა. სავარჯიშო ჯგუფში</p>	<p>15.30</p> <p>2.4. სესიის გაგრძელება</p>	<p>15.30</p> <p>3.4 პროცესის წინსვლისთვის სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება/გადახედვა. სავარჯიშო.</p> <p>IV. შეჯამება და შემდეგი ნაბიჯები</p> <ul style="list-style-type: none"> • შემდეგი ნაბიჯები და გამოვლენილი საჭიროებების მიმართ ხელის შეწყობა. • სემინარის შეფასება • შენიშვნები, რეკომენდაციები • პრეზენტაცია
დახურვა 17.30	დახურვა 17.30	Close 17.30	

Criteria and Indicators for Sustainable Forest Management for Georgia

UNECE/FAO, UNDA National Coaching Workshop

Wednesday 29th November to Friday 1st December 2017, Tbilisi, Georgia

Address: №1 Ana Politkovskaia str, Tbilisi, Georgia (Training Center of Justice House)

Background information on the project

This national coaching workshop is part of a UN Economic Commission for Europe (UNECE), Food and Agriculture Organization of the UN (FAO) and UN Development Account (UNDA) project designed to strengthen the national capacity of five countries in the Caucasus and Central Asia (Armenia, Georgia, Kazakhstan, Kyrgyzstan and Uzbekistan) to develop **national criteria and indicators (C&I)** for **sustainable forest management (SFM)**. The project builds upon existing processes and expertise in participating countries addressing country specific needs and priorities. The expected results of the project are:

- a) enhanced capacity in C&I for SFM processes and outcomes,
- b) developed or enhanced national processes in C&I development and as a result,
- c) developed or enhanced national C&I for SFM.

The duration of the project is from June 2016 until December 2019.

National Coaching Workshop overview

Forests are one of the most valuable natural resources in Georgia. They occupy about 40% of the territory of the country and have an exceptional importance at national, regional and global level. Georgian forests do not only conserve unique biological diversity, but ensure continuous delivery of vital direct or indirect benefits and resources to the population. This in turn facilitates the development of different fields of industry, the growth of the well-being of the population, poverty elevation and creates favorable conditions for the sustainable development of the country. The Georgian forests are earmarked for meeting different demand of the national economy and the population of forest resources and most crucially for carrying out social-environmental functions, e.g., water regulation, soil protection, climate regulation, recreational, sanitary-hygienic, aesthetic and other useful services having great significance for the State.

The problems existing in the forestry sector which directly reflect on the state of forests are caused by a number of factors among which the most important are: unsustainable forest management practiced during recent years, social background, lack of a political will, etc.

Strategic actions in the forestry and other sectors of industry shall be implemented in a way that considers main problems listed in the National Forest Concept and potential threats to forests.

The National Forest Concept of Georgia (NFC) was adopted by the parliament in 2013. NFC for Georgia defines the relation of the State with forests taking into account main services provided by forests and their values. The Concept shall apply to all forests of Georgia irrespective of their ownership and form of management. The document serves as a basis for the development and

improvement of the forestry sector related legislation, institutional set-up and other policy documents.

The need and potential of C&I for SFM have been recognised as being a useful tool to measure progress towards national goals for SFM. Also, the development of C&I is seen as a way of engaging a wide range of stakeholders in the forest sector reform, so that a range of interests are reflected and more inclusive forest sector decision making is developed. A process for the national development of C&I for SFM in Georgia has begun and this project and coaching workshop aims to build on and from this work to support Georgia in strengthening the process and outcome, assisting it to develop a comprehensive, effective and feasible national set of C&I for SFM.

In Georgia, during several workshops in 2017, the ecological, economic and social principle have been further specified by criteria and indicators. A draft document describing the National Principles, Criteria and Indicators is available. In addition, a list of detailed management based criteria and indicators has been elaborated through several workshops and field visits as basis for the implementation and monitoring of ecosystem based forest management.

This workshop has the following **objectives**:

- A. **REVIEW.** To review progress, challenges and lessons with regards to status of forests and forest management as well as national and international forest reporting in Georgia.
- B. **WHY and WHAT.** To ensure clarity on what the principles, purpose, processes and definitions, related to national C&I for SFM are.
- C. **HOW.** Drawing upon international and national best practice to strengthen skills on how to practically develop a national set of C&I.
- D. **PLAN.** To support developing the initial set of C&I for SFM, including a process plan of how to further advance, test and formulate it.

The workshop is supposed to reflect on the following **questions**:

- a) Is the national C&I set covering all important aspects for the future management of Georgian forests?
- b) Is the proposed national C&I clear/specific enough?
- c) What might be sources of information for the monitoring of the proposed indicators?
- d) Identification of necessary future steps to further develop the list of national C&I based on the results of 3 day workshops

Participant selection

35 participants have been invited for this workshop. They are expected to reflect a range of expertise and experiences related to forest policy and management, forest information, economic, social and ecological aspects as well as cross sectoral interests which are either affected by or impact on forestry. They represent a multi-stakeholder mix from government, NGOs, academia, private sector, as well as from central and local level, young and old, male and female. Some guidance on who should be invited includes the following;

We would very much appreciate if all invited participants will be **available for the entire duration** of the coaching workshop from **Wednesday 29th November to Friday 1st December 2017** (9.00 to 17.30) and are willing to contribute to the final elaboration of the list of national criteria and indicators in the upcoming months.

The workshop will be conducted mainly in Georgian and English. The materials will be mainly in English and partly in Georgian and Russian.

A pre-requisite to attend the workshop is the need to fill out and submit the needs assessment form by the due date specified.

Workshop Approach

The workshop approach will be informal and interactive, so casual dress code is recommended. Rather than being a taught training it will be a facilitated expert sharing workshop where all are expected to contribute.

Tentative Programme

Wednesday 29th November to Friday 1st December 2017, Tbilisi

	Wednesday 29th November	Thursday 30th November	Friday 1st December
M O R N I N G S E S S I O N	Registration at 8.30. Start sharp at 9.00. I. Preliminaries, objectives, background to SFM C&I and setting the scene 9.00 – 9.45 1.1 Welcome and short opening remarks by Natia Iordanishvili, NFA Georgia and Ekrem Yazici, UNECE/FAO, followed by a project overview from Theresa Loeffler UNECE/FAO. 9.45-10.30. 1.2 Participant introductions, workshop objectives, compiled needs assessment and rules and norms. Introducing the Guidelines for the training. <i>Presentation</i> Vardan Melikyan (Facilitator).	Start sharp at 9.00. 9.00 - 9.15 Recap of previous day. <i>Presentation by participants.</i> II. Practical C&I skills development. 9.15-10.30 2.1 Georgia and FOREST EUROPE, Stefanie Linser (tbc). <i>Presentation, Q&A.</i> 2.2 Introducing principles and practice of C&I development processes. <i>Presentation.</i> 2.3 Role playing a generic 'bottom up' multi-stakeholder process to develop priority indicators. <i>Presentation and Exercise.</i>	Start sharp at 9.00. 9.00 - 9.15 Recap of previous day. <i>Presentation by participants.</i> III. National C&I development 9.15-10.30 3.1 Reflection on the bottom up/top down process – lessons and recommendations for C&I development process in Georgia. <i>Presentation and Exercise.</i> 3.2 Group work to develop both the tentative set for national C&I and the process steps and methods for C&I further development, testing and selection for Georgia. <i>Presentation and exercise.</i>
	Break 10.30-11.00	Break 10.30 -11.00	Break 10.30 – 11.00
	11.00-11.30 1.3 Overview of the background, definitions, purpose, processes, benefits and challenges with C&I for SFM. tbc. <i>Presentation, Q&A.</i> 11.30-12.00. 1.4 Overview of Georgian forests and forest sector, forest information systems, data available and gaps, engagement in the FOREST EUROPE process. Koba Chiburdanidze (tbc), <i>Presentation, Q&A.</i>	11.00-12.30 Session 2.3 continues with a focus on good Criteria and Indicator definition.	11.00 – 12.30 Session 3.2 continues
	Lunch 12.30 to 13.30	Lunch 12.30 – 13.30	Lunch 12.30-13.30
A F T E R N O O N	1.5 Georgia's national criteria and indicator set for sustainable forest management. Lika Giorgadze (tbc). <i>Presentation, Q&A.</i> 1.6. Case study of national C&I development in Turkey. Tamer Otrakcier, Turkey. <i>Presentation, Q&A.</i>	2.4 Reviewing international and regional Criteria and Indicator sets to select those that best match national priorities – a 'top down process' <i>Exercise.</i>	13.30 - 15.00 3.3 Presentation of tentative C&I frameworks and process plans for peer review against criteria such as relevance, feasibility etc. <i>Presentation with peer review exercise.</i>
	Break 15.00- 15.30	Break 15.00-15.30	Break 15.00-15.30
	1.7 Reviewing and familiarisation with the Georgian C&I for SFM set. <i>Exercise</i>	Session 2.4 continues.	3.4 Setting up/reviewing the national working group to take the process forward. <i>Exercise.</i> IV. Wrap up and next steps Next steps and support needs identified. Workshop evaluation. Closing remarks. <i>Presentation.</i>
Close 17.30	Close 17.30	Close 17.30	

Sessions will be facilitated by Vardan Melikyan, with a range of international and national resource persons.